

თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტი
აკადემიური საბჭო

თბილისი

7 აპრილი, 2010

სხდომა №5
სხდომის ოქმი №5/2010

სხდომას ეწვრიებოდნენ:

1. პროფესორი ვალენტინა საყვარელიძე,
2. პროფესორი კახი ყურაშვილი,
3. პროფესორი ოლეგ ეჯიბაძე,
4. ასოცირებული პროფესორი ოლა ქავთარია,
5. ასოცირებული პროფესორი ილონა საყვარელიძე,
6. პროფესორი მაკა სალხინაშვილი,
7. პროფესორი მურმან ცარციძე,
8. პროფესორი ნინო ორმოცაძე,

სხდომის თავმჯდომარე: ვალენტინა საყვარელიძე

სხდომის მდივანი: კახი ყურაშვილი

დღის წესრიგი:

1. თჰუ ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტზე რეალიზებული სახელმწიფოს მართვისა და ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის გაუქმების შესახებ (მომხ. პროფ. კ. ყურაშვილი.)
 2. უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონთან, სხვა საკანონმდებლო აქტებთან, უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და დარგობრივი სტანდარტების პროექტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით თჰუ-ში რეალიზებული საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირების თაობაზე (მომხ. პროფ. კ. ყურაშვილი; მ. კაჭარავა)
1. მოსმინეს: პროფესორ კ. ყურაშვილის მოხსენება რომელმაც ისაუბრა ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტზე რეალიზებული სახელმწიფოს მართვისა და ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის გაუქმების შესახებ. მან აღნიშნა, რომ აღნიშნული სამაგისტრო პროგრამით დაინტერესება არ არის რის გამოც მიზანშეწონილია იგი გაუქმდეს და მის სარეალიზაციოდ გათვალისწინებული ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი გადანაწილდეს სხვა უფრო პოპულარულ საგანმანათლებლო პროგრამებზე.

აზრი გამოთქვას: ო. ეჯიბამ, მ.ცარციძემ, ვ. საყვარელიძემ

გადაწყვიტეს:

1. გაუქმდეს ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტზე რეალიზებული სახელმწიფოს მართვისა და ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა;
2. ეთხოვოს თჰუ რექტორს აღნიშნული გადაწყვეტილების ბრძანებაში ასახვა.



პროგრამების შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა რომ საჭიროა მოხდეს საგანმანათლებლო პროგრამებში გარკვეული ცვლილებების შეტანა, რომელიც პროექტის სახით უკვე შემუშავებულია თჰუ ხარისხის მართვის სამსახურთან ერთად. ვ. ყურაშვილმა სიტყვა გადასცა ხარისხის მართვის სამსახურის უფროს მ. კაჭარავას, რომელმაც აუდიტორიას გააცნო პროგრამებში შესატანი ცვლილებათა პროექტები და ისაუბრა იმ საჭიროებათა შესახებ რის გამოც აუცილებელია გატარდეს წარმოდგენილი ცვლილებები. საუბარი შეეხო თჰუ-ში რეალიზებულ ყველა საგანმანათლებლო პროგრამას (3 – საბაკალავრო, 2 – სამაგისტრო და 1 დიპლომირებული სტომატოლოგის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამას). მომხსენებელმა წარმოადგინა შესაბამის ფაკულტეტებთან ერთობლივად შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირებული პროექტები, რომლებიც სრულად შეესაბამება უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის, სხვა საკანონმდებლო აქტების, უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და დარგობრივი სტანდარტების პროექტების (რაც გამოქვეყნებულია სსიპ "განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის" ვებ-გვერდზე) მოთხოვნებს.

აზრი გამოთქვას: ვ. საყვარელიძემ, ო. ეჯიბაძემ, ო. ქავთარიამ, ნ. ორმოცაძემ,


გადაწყვიტეს:

1. მოდიფიცირებული სახით დამტკიცდეს შემდეგი თანდართული საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები:
 - ა) სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა (დანართი №1);
 - ბ) ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის საბაკალავრო პროგრამა (დანართი №2);
 - გ) ევროპეისტიკის საბაკალავრო პროგრამა (დანართი №3);
2. მოდიფიცირებული სახით დამტკიცდეს შემდეგი თანდართული დიპლომირებული სტომატოლოგის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა (დანართი №4);
3. მოდიფიცირებული სახით დამტკიცდეს შემდეგი თანდართული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები:
 - ა) საჯარო სამართლის (კონსტიტუციური და ადმინისტრაციული სამართლის) სამაგისტრო პროგრამა (დანართი №5);
 - ბ) სლავისტიკის სამაგისტრო პროგრამა (დანართი №4);
4. ეთხოვოს თჰუ რექტორს აღნიშნული გადაწყვეტილების ბრძანებაში ასახვა.

თჰუ აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე:

თჰუ აკადემიური საბჭოს
მდივანი:

7.04.2010



ვ. საყვარელიძე

ვ. ყურაშვილი